



საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №07-01/65

ქ. ბათუმი

22 იანვარი, 2020 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის მიერ 2020 წელს განსახორციელებელი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების გეგმა-ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტისა და ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის, აკადემიური საბჭოს 2019 წლის 27 დეკემბრის №06-01/141 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის მიერ 2020 წელს განსახორციელებელი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების გეგმა-ბიუჯეტი (დანართი 1).
2. ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის ბიუჯეტი გათვალისწინებულ იქნეს ბსუ-ს 2020 წლის ბიუჯეტში.
3. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი

დავით ბარათაშვილი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის
2020 წლის სამეცნიერო თემების (გარდამავალი:2018-2022...)
გეგმა-გრაფიკი

სამეცნიერო განყოფილებები:

1. გამძლეობის გენეტიკის განყოფილება (განყ. უფროსი: ბიოლოგიის დოქტორი, ზოია სიხარულიძე).
2. მცენარეთა დაავადებების მონიტორინგის, დიაგნოსტიკისა და მოლეკულური
ბიოლოგიის განყოფილება (განყ. უფროსი: ბიოლოგიის დოქტორი, გალინა მეფარიშვილი)
3. ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და კონსერვაციის განყოფილება (განყ. უფროსი: ბიოლოგიის დოქტორი,
ავთანდილ მესხიძე).
4. კოლხეთის ტორფნარებისა და წყლის ეკოსისტემების კონსერვაციის განყოფილება (განყ. უფროსი: ბიოლოგიის
დოქტორი, იზოლდა მაჭუტაძე)

I გამძლეობის გენეტიკის განყოფილება

I. თემის დასახელება: მარცვლოვანი კულტურების ეკონომიკურად მნიშვნელოვანი დაავადებების შიდაპოპულაციური პროცესების შესწავლა და მათი კონტროლის საშუალებების გამოცდა

თემის ხანგრძლივობა: 2020 (გარდამავალი)

თემის სამეცნიერო ხელმძღვანელი: განყ.უფროსი, ბმდ, ზოია სიახრულიძე

თემის ანოტაცია:

აქტუალობა: მსოფლიოს მოსახლეობის ზრდის ტემპისა და სურსათზე მოსახლეობის მუდმივად მზარდი მოთხოვნილების გათვალისწინებით, სასურსათო უსაფრთხოების საკითხებს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება დღეს. მრავალი ისტორიული ფაქტი მოწმობს, რომ სასურსათო კრიზისი ხშირ შემთხვევაში გამოწვეული იყო მცენარეთა დაავადებების ეპიდემიებით. დღევანდელი გლობალიზაციის პირობებში დაავადებების ეპიდემიები განსაკუთრებით საშიშია განვითარებადი ქვეყნებისთვის, სადაც სასურსათო უსაფრთხოების გარანტიები შესუსტებულია.

ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებას ძირითადად განსაზღვრავს სოფლის მეურნეობის განვითარების მაღალი დონე. მე-20 საუკუნის ბოლოს ქვეყანაში მომხდარმა სოციალურ-ეკონომიკურმა ძვრებმა კი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების მკვეთრი შეფერხება გამოიწვია. სამომავლოდ სოფლის მეურნეობის სექტორი საქართველოს საბაზრო ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს კომპონენტად უნდა იქცეს. ამ პროცესის განსახორციელებლად საჭიროა შიგა მოხმარებისა და საექსპორტო პროდუქციის ხარისხისა და მოცულობის ზრდა. წინამდებარე პროექტი, რომლის მთავარ მიზანს დაავადებათა კონტროლის გზით მარცვლოვანი კულტურების მოსავლიანობის გაუმჯობესება წარმოადგენს, ხელს შეუწყობს ზემოთ აღნიშნული მიზნების განხორციელებას.

წარმოდგენილი თემით დაგეგმილია მარცვლოვანთა ჟანგოვანი დაავადებების სისტემატური პოპულაციურ - გენეტიკური კვლევა, რადგან მარცვლოვანთა ჟანგები მათი გამომწვევი მიკროორგანიზმების მაღალი ცვალებადობის გამო საუკუნეების მანძილზე არ კარგავენ ეკონომიკურად განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე დაავადების სტატუსს. ისევე როგორც გასულ საუკუნეში, ბოლო წლებშიც, ხორბლის ღეროს და ყვითელ ჟანგას ეპიფიტოტიებმა სერიოზული ზიანი მიაყენეს მეხორბლეებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. 2009-2010 წლებში მრავალ ქვეყანაში მოსავლის 70% გაანდგურდა ექსპერიმენტულ მინდვრებზე, ხოლო ფერმერული ნათესები კიდევ უფრო მეტად დაზარალდა, მიუხედავად იმისა, რომ უმეტეს შემთხვევაში გამოყენებული იყო ფუნგიციდები (www.icarda.org/wheatrust; www.ars.usda.gov/is/AR/archive/oct11/food1011.htm). შესაბამისად, ზარალიანი იყო ყვითელი ჟანგას ეპიფიტოტია საქართველოშიც (Sikharuldze *et al.*, 2011).

დაავადების კონტროლის ეკოლოგიურად საიმედო მეთოდი გახლავთ დაავადებების მიმართ გამძლე ჯიშების მიღება და წარმოებაში დანერგვა, რაც მოსავლის შენარჩუნებისა და გაზრდის საიმედო რეზერვია. გამძლე გენოტიპების მიღება მეტად ხანგრძლივი და მუდმივად მიმდინარე პროცესია, რაც მჭიდროდაა დაკავშირებული პათოგენის ცვალებადობის შესწავლასთან. მასპინძელი მცენარეების ჯიშური

შემადგენლობის, მცენარეთა მოყვანის ტექნოლოგიების და გარემო პირობების ცვალებადობის, ბუნებაში მიმდინარე ფორმათ-წარმომქმნელი პროცესების ზემოქმედების შედეგად დაავადებების გამომწვევთა შიდასახეობრივი სტრუქტურაც გამუდმებით იცვლება. აქედან გამომდინარე, აუცილებელია პათოგენის პოპულაციის მუდმივი მონიტორინგი და სისტემატური შესწავლა.

განხორციელებული კვლევის სიახლე იქნება შესაძლო ცვლილების იდენტიფიცირება ჟანგების ვირულენტობის შიდასახეობრივ სტრუქტურაში და დაავადებებისადმი ეფექტური გამძლეობის გენოტიპების და ახალი გამძლეობის წყაროების იდენტიფიცირება სასელექციო პროგრამებში ჩართვის მიზნით. აგრეთვე, ხორბლის დაავადებების კონტროლის სხვა ეფექტური საშუალებების გამოვლენა.

მიზანი: თემის უმთავრესი მიზანია ქვეყანაში სასურსათო უსაფრთხოების განმტკიცების ხელშეწყობა ხორბლის დაავადებების კვლევისა და კონტროლის გზით. კერძოდ, წარმოდგენილი კვლევის მიზანია პათოგენთა პოპულაციების შიდასახეობრივი დიფერენციაციის, ვირულენტობის გენების შეხვედრის სიხშირისა და მათი დინამიკის შესწავლა, პოპულაციებში მიმდინარე ცვლილებების მონიტორინგი, რასობრივი და პათოტიპური შემადგენლობის იდენტიფიკაცია და პათოგენთა რასებით განპირობებული მოსალოდნელი რისკის შეფასება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს ინფორმაცია აუცილებელია ვირულენტობის გენოფონდის გრძელვადიანი პროგრამებისათვის, რაც საბოლოო ჯამში აუცილებელია წინაპირობა დაავადებებისადმი გამძლე ჯიშების მიღების და გამძლეობის ეფექტური წყაროების გამოვლენის მიზნით მიმდინარე სელექციური საქმიანობის წარმატებისათვის.

თემა მიზნად ისახავს, აგრეთვე, საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობას, უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას, რაც ინსტიტუტს შეუქმნის მყარ საფუძველს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაში მონაწილეობის მიღებისათვის, შესაბამის სამთავრობო სამსახურებთან და ქართველ და სხვა ქვეყნის მეცნიერებთან თანამშრომლობისათვის.

კვლევა 2020 წ ითვალისწინებს შემდეგი ქვეთემების, და ამოცანების განხორციელებას:

ქვეთემების და ამოცანების დასახელება		ექვსთვიანი საანგარიშო პერიოდი				
		ამოცანის შესაბამისი აქტივობის აღწერა	I საანგ. პერიოდი	II საანგ. პერიოდი	მოსალოდნელი შედეგები	შემსრულებლები
ქვეთემა 1. მარცვლოვანთა ჟანგების საქართველოში გავრცელებული პოპულაციის გენეტიკური და მოლეკულური	ამოცანა 1. ჟანგების გავრცელების მონიტორინგი	-მარცვლოვანთა ნათესების და კოწახურის ველური ნარგაობის გამოკვლევა ექსპედიციების გზით - დაავადების ნიმუშების შეგროვება, შენახვა, რეგისტრაცია	+	+	დადგინდება დაავადებების გავრცელების და განვითარების ინტენსივობა კვლევის შედეგები აისახება	მეცნიერ თანამშრომლები: ქეთინო ნაცარიშვილი ცისანა ცეცხლაძე ქეთინო სიხარულიძე

მრავალფეროვნების შესწავლა					სამეცნიერო სტატიებსა და ყოველწლიურ ანგარიშებში	
	<p>ამოცანა 2. ხორბლის ღეროს ჟანგას ვირულენტობის დახასიათება გენეტიკური და მოლეკულური მარკერებით</p>	<p>-პათოგენის გამოყოფა დაავადების ნიმუშებიდან, მონოსპოროვანი იზოლატების მიღება და გადამრავლება</p> <p>- ჯიშ-დიფერენციატორთა საერთაშორისო ნაკრების თესვა, ინოვაცია და</p>	+	+	დადგინდება ღეროს, ყვითელი და მურა ჟანგას პოპულაციის ვირულენტური სტრუქტურა და მოლეკულური პოლიმორფიზმის	მეცნიერ თანამშრომლები: ქეთინო ნაცარიშვილი ცისანა ცეცხლაძე
	<p>ამოცანა 3. ხორბლის ყვითელი ჟანგას ვირულენტობის შესწავლა გენეტიკური და მოლეკულური მარკერებით</p>	<p>დაავადების აღრიცხვა</p> <p>-ვირულენტობის სტრუქტურის იდენტიფიცირება</p>	+	+	ხარისხი; მოთხოვნილებისამებრ ადგილობრივ და საერთაშორისო სასელექციო ცენტრებს მიეწოდება	ქეთინო სიხარულიძე
	<p>ამოცანა 4. ხორბლის მურა ჟანგას ვირულენტობის შესწავლა გენეტიკური მარკერებით</p>		+	+	ინფორმაცია პათოგენთა პოპულაციის შიგნით მიმდინარე ცვლილებებისა და ეფექტური გამძლეობის გენების შესახებ	ლაბორანტი ს.გუმბერიძე
					გაგრძელდება ჟანგების კვლევა მოლეკულური	

					მარკერებით ჟანგების გლობალ. მონიტორინგის პროგრამის ფარგლებში	
					კვლევის შედეგები აისახება სამეცნიერო სტატიებსა და ყოველწლიურ ანგარიშებში	
	ამოცანა 5. ჟანგაროვანი სოკოების პათოტიპთა კოლექციის განახლება, გაფართოება	ახალი საკოლექციო შტამების სტანდარტიზაცია, შტამების შენახვა (გამოშრობა, დალუქვა), რეგისტრაცია-კატალოგიზაცია -ხორბლის ღეროს, ყვითელი და მურა ჟანგას გამომწვევთა ძველი შტამებით ცოცხალი მცენარეების ინოკულაცია მათი განახლების მიზნით	+		ჟანგაროვანი სოკოების პათოტიპთა კოლექცია განახლება და შეივსება სტანდარტული საკოლექციო შტამებით	
	ამოცანა 6. მარცვლოვანთა საერთაშორისო დიფერენციატორე ბის, ჯიშების და სხვა სასელექციო მასალის გადამრავლება მოსავლის აღების მიზნით	- საცდელი ნაკვეთის მომზადება (ნიადაგის ხვნა, ფარცხვა, განოყიერება) - ცდის აგეგმვა და თესვა -აგროტექნიკური ღონისძიებების (მარგვლა, სასუქის შეტანა, ინსექტიციდების შესხურება ა.შ.) ჩატარება - მოსავლის აღება-შენახვა	+	+	კვლევები უზრუნველყოფილ ი იქნება სამუშაო თესლით	

<p>ქვეთემა 2. მარცვლოვანთა ძირითადი დაავადებების კონტროლის საშუალებების გამოცდა</p>	<p>ამოცანა 1. მარცვლოვანთა სასელექციო მასალის იმუნოლოგიური შეფასება ზრდასრულ ფაზაში პათოგენტა ბუნებრივ და ხელოვნურ ინფექციურ ფონზე</p>	<ul style="list-style-type: none"> - საცდელი ნაკვეთის მომზადება ქობულეთსა და წალვერში (ნიადაგის ხვნი, ფარცხვა, განოყიერება) ცდის აგეგმვა და თესვა - მცენარეების ინოკულაცია მინდორში - დაავადებების 4-ჯერადი აღრიცხვა - ნარჩენების განადგურება და გაუვნებლობა 	+	+	<p>განისაზღვრება სასელექციო მასალის გამძლეობის დონე სხვადასხვა პათოგენების მიმართ და გამოვლინდება ახალი გამძლეობის წყაროები და გენოტიპები სელექციური პროცესის სხვადასხვა ეტაპზე</p>	<p>მეცნიერ-თანამშრომლები: ქეთინო ნაცარიშვილი ქეთინო სიხარულიძე ც.ცეცხლაძე ლაბორანტი სვეტლანა გუმბერიძე</p>
	<p>ამოცანა 2. მარცვლოვანთა სასელექციო მასალის იმუნოლოგიური შეფასება ადონაცენის ფაზაში ხელოვნურ ინფექციურ ფონზე სათბურში</p>	<ul style="list-style-type: none"> - ცდის მომზადება (ნიადაგის მომზადება, ქოთნების მიწით შევსება და თესვა) - მცენარეების ინოკულაცია და დაავადებების აღრიცხვა - ნარჩენების განადგურება და გაუვნებლობა 	+	+	<p>კვლევის შედეგები აისახება სამეცნიერო სტატიებსა და ყოველწლიურ ანგარიშებში</p>	
	<p>ამოცანა 3. ბიოლოგიური საშუალებებისა და მცენარეული ექსტრაქტების ფუნგიციდური აქტივობის შესწავლა</p>	<ul style="list-style-type: none"> - ცდის მომზადება (ნიადაგის მომზადება, ქოთნების მიწით შევსება და თესვა) - მცენარეების ინოკულაცია და პრეპარატებით დამუშავება - დაავადებების აღრიცხვა - ნარჩენების განადგურება და გაუვნებლობა 	+	+	<p>დადგინდება საცდელი ბიოსაშუალებების ფუნგიციდური ეფექტურობის ხარისხი</p>	<p>ქეთინო ნაცარიშვილი ქეთინო სიხარულიძე ლაბორანტი ს.გუმბერიძე</p>

II. თემის დასახელება: ბოსტნეული კულტურების ეკონომიკურად მნიშვნელოვანი დაავადებების შესწავლა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შემუშავება

თემის ხანგრძლივობა: 2020 (გარდამავალი)

თემის ანოტაცია:

აქტუალობა: ბოსტნეული ადამიანის ცხოვრებაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროდუქტია, რომელიც ავსებს ორგანიზმს ვიტამინებით, მინერალებით და ყველა იმ სასარგებლო ნივთიერებებით. მსოფლიო სორტიმენტში ცნობილი 150-მდე სახეობის ბოსტნეული კულტურიდან თანამედროვე მონაცემებით საქართველოში ამჟამად 70-ზე მეტი სახეობის ბოსტნეული მოჰყავთ, ერთ სულ მოსახლეზე მათი მოხმარების საშუალო წლიური ნორმაა 120-180კგ.

ბოსტნეული კულტურების დიდი მრავალფეროვნებით გამორჩეული საქართველო ცნობილია ამ მცენარეების დაავადებათა გამომწვევების ჩამონათვალითაც, რომლებიც მოსავლიანობის მნიშვნელოვან შემზღუდავ ფაქტორად გვევლინება. მათ მიერ მიყენებული ზარალი უდიდესია, როგორც რაოდენობრივი, ასევე, ხარისხობრივი თვალსაზრისით. დაავადებათა ფართო გავრცელებას და სახეობრივ მრავალფეროვნებას ხელს უწყობს საქართველოს ნიადაგურ-კლიმატური პირობები და მისი მდებარეობა. საქართველო წარმოადგენს სატრანსპორტო დერეფანს, რაც ხელს უწყობს ქვეყანაში არარსებული მავნებელ-დაავადებების შემოტანა, გავრცელებას.

მცენარის ბიოლოგიური დაცვის სისტემაში მთავარი ადგილი უჭირავს გამძლე ჯიშებს. დაავადებისაგან მოსავლის დანაკარგის შესამცირებლად მათი გამოყენება საიმედო, ეკოლოგიურად და ეკონომიურად გამართლებული საშუალებაა. აქედან გამომდინარე, ბოსტნეული კულტურების დაავადებების დროული გამოვლენა, დიაგნოსტიკა და პრობლემის პრევენციის გზების ძიება–დანერგვა სოფლის მეურნეობის ერთ–ერთი აქტუალური და საჭირობოტო ამოცანაა. ამიტომაც, მიზანშეწონილად მიგვაჩნია წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში ჩატარდეს ფუნდამენტური კვლევები არსებული და ახალად გამოვლენილი დაავადებების შესასწავლად.

კვლევის სიახლე იქნება აჭარა, გურიის რეგიონებში ბოსტნეულ კულტურებზე გავრცელებული ეკონომიკურად მნიშვნელოვანი დაავადებების, ასევე შესაძლო ახალი დაავადებების გამოვლენა, მათი გავრცელებისა და ინტენსიობის დადგენა, პათოგენთა ბიოლოგიის შესწავლა და დაცვის ეფექტური ღონისძიებების შემუშავება.

მიზანი: კვლევის მიზანია ბოსტნეული კულტურების დაავადებებისადმი გამძლე ჯიშების გამოვლენა დაავადების ბუნებრივი და ხელოვნური ინფექციური ფონის გამოყენებით და ბრძოლის ეფექტური ღონისძიებების შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს ბოსტნეული კულტურების მოსავლის შენარჩუნებასა და გაზრდას, ქვეყანაში სასურსათო უსაფრთხოების განმტკიცებას.

კვლევა 2020 წ ითვალისწინებს შემდეგი ქვეთემების, და ამოცანების განხორციელებას:

#	<p>თემა: ბოსტნეული კულტურების ეკონომიკურად მნიშვნელოვანი დაავადებების შესწავლა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებების ეფექტურობის შეფასება</p> <p>თემის სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბიოლ. აკად. დოქტორი, ზოია სიხარულიძე</p>					
საანგარიშო პერიოდი კვარტალურად						
ქვეთემის და ამოცანის დასახელება	ამოცანის შესაბამისი აქტივობის აღწერა	პირველი საანგ. ეტაპი	მეორე საანგ. ეტაპი	მოსალოდნელი შედეგები	შემსრულებლები	
<p>ქვეთემა 1. ბოსტნეული კულტურების ძირითადი დაავადებების შესწავლა</p> <p>ამოცანა 1. აჭარისა და გურიის რეგიონებში არსებული ბოსტნეული კულტურების (პომიდორი, კიტრი, წიწაკა, ბადრიჯანი) დაავადებების გავრცელების ხარისხის დადგენა</p> <p>ამოცანა 2. აღებული ნიმუშების ლაბორატორიული გამოკვლევა და დაავადებების დიაგნოსტიკა;</p>	<p>-აჭარისა და გურიის რეგიონებში არსებული ბოსტნეული კულტურების კერძო ნაკვეთების და სასათბურე მეურნეობების გამოკვლევა დაავადებების განვითარებისთვის კრიტიკულ ფაზებში ექვედციების საშუალებით</p>			<p>დადგინდება დაავადებების გავრცელების და განვითარების ინტენსიობა; შეგროვდება დაავადებათა ნიმუშები;</p> <p>მოხდება მცენარის ინფიცირებული ნაწილიდან დაავადების გამომწვევი მიკროორგანიზმების გამოყოფა, იდენტიფიცირება და მორფოლოგიურ-კულტურალური თვისებებების შესწავლა</p>	<p><i>პასუხისმგებ. შემსრულებ.:</i> უფრ. მეცნ. თანამშრომელი, ცისანა ცეცხლაძე</p> <p>შემსრულებლები: ქეთინო სიხარულიძე</p> <p><i>პასუხისმგებელი შემსრულებელი-</i> უფრ. მეცნიერ-თანამშრომელი: ცისანა ცეცხლაძე</p> <p>შემსრულებლები: უმც. ქეთინო ნაცარიშვილი</p>	

	დაავადებათა გამომწვევი პათოგენების ბიოლოგიური თავისებურებების შესწავლა.					მეცნ.თანამშ. ქეთინო სიხარულიძე
2.	<p>ქვეთემა 2. ბრძოლის ეფექტური ღონისძიებების შემუშავება ბოსტნეული კულტურების სოკოვანი დაავადებების მიმართ</p> <p>ამოცანა 1. ბოსტნეული კულტურების იმუნოლოგიური შეფასება მინდვრის პირობებში პათოგენთა ბუნებრივ და ხელოვნურ ინფექციურ ფონზე</p>	<ul style="list-style-type: none"> - საცდელი ნაკვეთების მომზადება(ხვნა, ფარცხვა, აგეგმვა) - საცდელი ბოსტნეული კულტურების ჩითილების გამოყვანა და გადარგვა მინდორში -ინოკულაცია - დაავადების აღრიცხვა - საცდელი ნაკვეთების ინფექციური ნარჩენებისაგან განთავისუფლება და გაუვნებლობა 			<p>-განისაზღვრება საცდელი მასალის გამძლეობის დონე სხვადასხვა სოკოვანი დაავადებების გამომწვევი პათოგენების მიმართ, გამოვლინდება ახალი გამძლეობის წყაროები და გამძლე ჯიშები</p>	

III. თემის დასახელება: საკარანტინო დაავადების - კარტოფილის კიბოს განვითარების თავისებურებების შესწავლა და კიბოსადმი გამძლე ჯიშების გამორჩევა

თემის ხანგრძლივობა: 2020(გარდამავალი)

თემის სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბიოლ. აკად. დოქტორი, ზოია სიხარულიძე

თემის ანოტაცია:

აქტუალობა: გაეროს სასურსათო უსაფრთხოების პროგრამის თანახმად, კარტოფილი პურის შემდეგ ძირითად საარსებო კვების პროდუქტად სახელდება. დღეისათვის კარტოფილი გავრცელებულია და მოჰყავთ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. კარტოფილის ნათესები პირველად 1820-იან წლებში გაჩნდა თბილისის ახლომხლო. საქართველოს მოსახლეობამ მისი მოყვანა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო. საქართველოს მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობები და კარტოფილის დიდი შეგუებულობის უნარი საადრეო და საგვიანო პროდუქციის მიღების შესაძლებლობას იძლევა. საქართველოში კარტოფილს თესვენ უმთავრესად ახალციხის, ახალქალაქის, წალკის, დმანისის, ბოლნისის, თეთრიწყაროს, ხულოს, მესტიის, ონის რაიონებში, ძირითადად, ზღვის დონიდან 2200-2300 მ-ზე. კარტოფილი მოჰყავთ ბარის ზონაშიც (მარნეული), სადაც კარტოფილს თესვენ ზაფხულშიც, თავთავიანი პურეულის აღების შემდეგ და მეორე მოსავალს იღებენ.

საქართველოში კარტოფილის მოყვანა თითქმის არ ეყრდნობა ადგილობრივ სელექციას და თესლის წარმოებას. 90-იან წლებში საქართველოში მოღვაწე უცხოურმა ორგანიზაციებმა შემოიტანეს გერმანული და ჰოლანდიური კარტოფილის ჯიშების სარგავი მასალა და მათი დიდი უმრავლესობა (მარფონა, აგრია, დეზირე, მარაბელი, პიკასო, ტიმოთე, კოლეტე და სხვ.) დღეს წარმოებაშია. საქსტატის მონაცემებით ბოლო წლებში საქართველოში კარტოფილი 20-25 ათ. ჰა-ზე ეთესა. ქვეყნის ტერიტორიაზე სარგავი და სასურსათე კარტოფილის იმპორტის წილი დაახლოებით 20%-ია. საქართველოში კარტოფილი შემოაქვთ სომხეთიდან, თურქეთიდან, ირანიდან, გერმანიიდან, ნიდერლანდებიდან. ლიდერი იმპორტიორი ქვეყნის პოზიციებს თურქეთი და სომხეთი ინაწილებს. საქართველოში კარტოფილის საშუალო მოსავალი ჯერ კიდევ დაბალია და მერყეობს 7.4- 13.6 ტ/ჰა ფარგლებში (საქსტატი, 2015). ამის ახსნა შეიძლება აგროკლიმატური ზონების მიხედვით არადაპტირებული ჯიშების წარმოებით, სათესლე მასალის უხარისხობით, დაბალი აგროტექნიკის დონით, მელიორაციის სისტემის და პირველადი მეთესლეობის სისტემის არ არსებობით, საკარანტინო ღონისძიებების დაუცველობით, მავნებელ-დაავადებების (მათ შორის, საკარანტინო მავნე ორგანიზმების) გავრცელებით და სხვა.

კარტოფილი მრავალგვარი სოკოვანი, ბაქტერიული და ვირუსული მიკროორგანიზმებით გამოწვეული დაავადებით შეიძლება დასენიანდეს. კარტოფილის დაავადებებს შორის მაღალი მავნეობით გამოირჩევა საკარანტინო დაავადება - კარტოფილის კიბო. მისი გამომწვევი სოკო - *Synchytrium endobioticum* (Schilb.) Perc. - EPPO-ს (ევროპისა და ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყნების მცენარეთა დაცვის ორგანიზაცია) საკარანტინო ორგანიზმთა A2 ჩამონათვალშია შეტანილი (EPPO, 2004). კარტოფილის კიბო შეტანილია, აგრეთვე, საქართველოს მცენარეთა საკარანტინო ობიექტების ნუსხაში, როგორც შეზღუდულად გავრცელებული საკარანტინო ობიექტი. კარტოფილის კიბო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სამხრეთ ამერიკიდან გავრცელდა ინფიცირებული და კონტამინირებული ტუბერებით (Franc, 2007). პირველად ევროპაში დაავადება მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს აღმოაჩინეს დიდ ბრიტანეთში. იგი მსოფლიოს 55 ქვეყანაში არის რეგისტრირებული, მათ შორის - ჩვენს მეზობელ ქვეყნებშიც: რუსეთი, თურქეთი. კიბოს მიერ გამოწვეულმა მოსავლის დანაკარგმა შეიძლება მიაღწიოს 50-100% (Hampson, 1993). კარტოფილის კიბოს კონტროლი ძალიან რთულია სოკოს ბიოლოგიური თავისებურებებისა და სხვა გარემოებების (ფართო გეოგრაფიული გავრცელება, მაღალი მავნეობა, ხანგრძლივი სიცოცხლისუნარიანობა ნიადაგში, მაღალი პლასტიურობა, პათოგენის დისემინაციის მრავალი გზა) გამო.

იმისათვის, რომ მინიმუმამდე იქნას დაყვანილი დაავადებების მიერ გამოწვეული დანაკარგები, აუცილებელია დროულად და ზუსტად იქნას იდენტიფიცირებული დაავადების გამომწვევი, შესწავლილი იქნას პათოგენის სხვადასხვა ბიოლოგიური მახასიათებლები, მავნეობის ხარისხი შემუშავებული იქნას დაავადების კონტროლის ახალი ეფექტური საშუალებები.

2010–2011 წლებში საერთაშორისო სამეცნიერო ტექნიკური ცენტრის (ISTC) საპარტნიორო პროექტის G-1775p ფარგლებში ინსტიტუტში განხორციელებულმა კვლევებმა საშუალება მოგვცა გამოგვევლინა კარტოფილის კიბოს ერთეული შემთხვევები ხულოში, რომელიც დასავლეთ საქართველოში კარტოფილის წარმოების ძირითად ზონად ითვლება. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კიბოსთვის დამახასიათებელი სიმპტომები იშვიათად 4-5 წლით ადრეც შეუნიშნავთ ფერმერებს. 2012-2013 წლებში ეროვნული სამეცნიერო ფონდის #31/73 პროექტის ფარგლებში ჩატარებული ყოველწლიური ექსედიციების საშუალებით კარტოფილის კიბო აღირიცხა ხულოს რაიონის კიდეც რამდენიმე სოფელში. კარტოფილის კიბოს არსებობა დადასტურებული იქნა, როგორც მიკროსკოპული, ისე PCR - (სპეციფიკურ-პოლიმერაზა-ჯაჭვური რეაქცია) ანალიზის გზით და პირველი ოფიციალური ანგარიში კარტოფილის კიბოს საქართველოში გავრცელების შესახებ გამოქვეყნდა დიდი ბრიტანეთის ფიტოპათოლოგიური საზოგადოების ელექტრონულ ჟურნალში „New Disease Reports” (Gorgiladze et al., 2014). 2015 წლის 25 ივნისის საქართველოს მთავრობის #305 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული იქნა ტექნიკური რეგლამენტი „კარტოფილის კიბოს კონტროლის წესის“ თაობაზე. იმის გამო, რომ დღემდე სიღრმისეულად არ შესწავლილა ბოლო წლებში საქართველოში შემოჭრილი საშიში საკარანტინო დაავადება - კარტოფილის კიბო, მიზანშეწონილად მივიჩნით მისი არჩევა ინდივიდუალური სადოქტორო პროგრამის კვლევის ობიექტად. ეროვნული სამეცნიერო ფონდის დოქტორანტურის კონკურსში გამარჯვებამ საშუალება მოგვცა უფრო სრულყოფილად შევისწავლოთ დაავადების გამომწვევის ბიოლოგიური, ეკოლოგიური და ეპიდემიოლოგიური თავისებურებანი, დავადგინოთ მისი გავრცელების არეალი საქართველოში და გამოვავლინოთ დაავადების მართვის ეფექტური საშუალებები.

მიზანი: თემის მიზანს წარმოადგენს საქართველოში კარტოფილის კიბოს გავრცელების არეალის დადგენა და განვითარების ბიოლოგიური და ეკოლოგიური თავისებურებების შესწავლა. პროექტი მიზნად ისახავს, აგრეთვე, საქართველოში საკარანტინო მიკროორგანიზმების კვლევების სპექტრის გაფართოებას, რაც მყარ საფუძველს შექმნის სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის და საქართველოს, როგორც EPPO-ს ახალი წევრი-ქვეყნის, ავტორიტეტის ამაღლებისათვის.

კვლევა 2020 წ. განხორციელდება შემდეგი კონკრეტული ამოცანების და შესაბამისი აქტივობების მიხედვით:

ქვეთემების და დასახელება	ამოცანების	ექსთვიანი საანგარიშო პერიოდი				
		ამოცანის შესაბამისი აქტივობის აღწერა	I საანგ. პერიოდი	II საანგ. პერიოდი	მოსალოდნელი შედეგები	შემსრულებლები
ქვეთემა 1. კარტოფილის კიბოს განვითარების თავისებურებების შესწავლა	ამოცანა 1. კარტოფილის კიბოს გავრცელების დონის დადგენა	<p>აქტივობა 1. კარტოფილის ნათესების გამოკვლევა ექსედიციების ჩატარების გზით</p> <p>აქტივობა 2. ინფიცირებული ტუბერების და ნიადაგის ნიმუშების შეგროვება-რეგისტრაცია</p>	+	+	დადგინდება დაავადების გავრცელების დონე, საკარანტინო და ბუფერული	<p>პაუხისმგებელი : მეცნ.თანამშრომელი:</p> <p>სოფიო ლოლობერიძე</p>

ხულოსა და მესტიის მუნიციპალიტეტებში	აქტივობა 3. პათოგენის ზოოსპორანგიუმების სიცოცხლისუნარიანობისა და ნიადაგის ინფიცირების ხარისხის დადგენა			ზონები; განისაზღვრება ნიადაგის ინფიცირების ხარისხი;	შემსრულებლები : ცისანა ცეცხლაძე
ამოცანა 2. კარტოფილის კიბოს გამომწვევის <i>Synchytrium endobioticum</i> პათოტიპთა იდენტიფიცირება	აქტივობა 1. კარტოფილის კიბოს პათოტიპთა იდენტიფიცირება ზაფხულის სპორანგიუმების გამოყენებით	+	+	იდენტიფიცირებული იქნება კარტოფილის კიბოს პათოტიპური შემადგენლობა	ქეთინო სიხარულიძე ქეთინო ნაცარიშვილი
	აქტივობა 2. კარტოფილის კიბოს პათოტიპთა იდენტიფიცირება ზამთრის სპორანგიუმების გამოყენებით	+		კარტოფილის კიბოს პათოტიპური შემადგენლობა	ლაბორანტი ს.გუმბერიძე
	აქტივობა 3. <i>Synchytrium endobioticum</i> - ის პათოტიპური სტრუქტურის განსაზღვრა ე.წ. ქოთნის ცდის მეთოდის გამოყენებით	+	+	მომზადდება პუბლიკაციები	
ქვეთემა 1. კარტოფილის ჯიშების შეფასება ხელოვნურ ინფექციურ ფონზე კიბოსადმი გამძლე გენოტიპების გამორჩევის მიზნით	<p>აქტივობა 1. კარტოფილის ჯიშების გამძლეობის შეფასება ზაფხულის და ზამთრის სპორანგიუმებით ხელოვნურ ინფექციურ ფონზე (ცდის მოწყობა სათბურის პირობებში; ჯიშების ინოკულაცია; დაავადების აღრიცხვა)</p> <p>აქტივობა 2. კარტოფილის ჯიშების გამძლეობის შეფასება ხელოვნურ ინფექციურ ფონზე სათბურში ე.წ ქოთნის ცდის საშუალებით: ჯიშების დარგვა, ცდის მოწყობა, დაავადების აღრიცხვა</p>	+	+	გამოვლინდება დაავადებისადმი გამძლე ჯიშები.	

<p>ამოცანა . სამუშაო თესლის მიღების მიზნით საერთაშორიო დიფერენციატორების და კომერციული ჯიშების გადამრავლება მინდორში</p>	<p>აქტივობა 1. ქობულეთსა და წაღვერში ნაკვეთის მომზადება: დახვნა, დაფარცხვა, განოყიერება აქტივობა 2. ცდის აგეგმვა, ნიმუშების დარგვა და მცენარეების მოვლა აქტივობა 3. კარტოფილის ჯიშების და დიფერენციატორების მოსავლის აღება</p>	+	+	კვლევების უზრუნველყოფა სამუშაო თესლით	
--	---	---	---	---------------------------------------	--

I გამძლეობის გენეტიკის განყოფილების 2020 წლის ბიუჯეტი

ხარჯვის კატეგორიები	რ.-ბა	ღირებულება(ლარი)				
		I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	სულ
პერსონალის შრომის ანაზღაურება						
განყოფილების უფროსი, მთ. მ.თ.	1	3150				12600
უფროსი მეცნ. თანამშრომელი	2	4800				19200
მეცნ. თანამშრომელი	2	3900				15600
ლაბორანტი	1	1350				5400
						52 800
საქონელი და მომსახურება						
ექსპედიციის საწვავი	200 ლიტ		300	250		550
საკანცელარიო საქონელი		100				100
ლაბორატორიული მასალები(რეაქტივები, ქიმიქატები და სხვა)			300			300
მასალები საველე ცდებისთვის		200				200

ტექნიკის(მცირე საცეხვი) შეკეთება			300			300
						1450
მივლინება ქვეყნის შიგნით			180	180		360
ძირითადი აქტივები						
მე-2 კლასის ბიოუსაფრთხოების კაბინეტი			9000			9000
საშრობი კარადა				5000		5000
კლიმატური კამერა		10 000				10 000
სულ შესყიდვები						24 000
						25 810

II მცენარეთა დაავადებების მონიტორინგის, დიაგნოსტიკისა და მოლეკულური ბიოლოგიის განყოფილება

განყოფილებაში სრულდება 2 სამეცნიერო-კვლევითი თემა, რომლებიც უშუალო კავშირშია პრობლემასთან: სასურსათო უსაფრთხოება.

1. მცენარეთა ეკონომიურად მნიშვნელოვანი დაავადებების მონიტორინგი, დიაგნოსტიკა და დაავადებათა გამომწვევი პათოგენების შესწავლა. 2020წ (გარდამავალი).
2. ფიტოპათოგენთა არსებული კოლექციის გაახლება და ახალი შტამების მიღება-შენახვა. 2020წ (გარდამავალი).

ანოტაცია:

მცენარეები ჩვენი ყოველდღიური საარსებო გარემოს მნიშვნელოვანი ნაწილია. ისინი წარმოადგენენ მნიშვნელოვან ეკონომიკურ პროდუქტს, რომლებიც უზრუნველყოფენ კვებას, ახდენენ საცხოვრებელი გარემოს ფორმირებას და მოქმედებენ ჩვენი ცხოვრების წესზე. სოფლის მეურნეობა, მეზღვეობა და სატყეო მეურნეობა უზრუნველყოფენ ადამიანს საკვებით - მცენარეული პროდუქტებითა და ნედლეულით, ხოლო დეკორატიული მცენარეები დიდ როლს ასრულებენ ჩვენი ცხოვრების ხარისხის ფორმირებაში. თუმცა, გლობალური პროცესების ზრდის გამო, მნიშვნელოვნად გაიზარდა მცენარეთა დაავადებების და მავნებლების რიცხვი. რაც დიდ ეკონომიკურ ზარალს იწვევს სოფლის მეურნეობაში.

მოსახლეობის ზრდის ტემპისა და სურსათზე მუდმივად მზარდი მოთხოვნილების გათვალისწინებით, როგორც მსოფლიო მასშტაბით, ასევე, ჩვენს ქვეყანაში სასურსათო უსაფრთხოების საკითხებს დღეს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება. დღევანდელი გლობალიზაციის პირობებში არსებობს დიდი საფრთხე იმისა, რომ ზოგიერთი მაღალი მავნეობით გამორჩეული მავნე ორგანიზმების გავრცელებამ შესაძლებელია ძალიან ფართო (საერთაშორისო და საკონტინენტაშორისო) მასშტაბები მიიღოს და მოერგოს სხვადასხვა ეკოლოგიურ პირობებს მრავალ რეგიონში.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მცენარეთა მავნებელ-დაავადებების მონიტორინგი და დიაგნოსტიკა წარმოადგენს მნიშვნელოვან და ძირითად ამოცანას, რათა თავიდან ავიცილოთ მათ მიერ გამოწვეული სერიოზული ეკონომიკური ზიანი.

ჩვენი კვლევის ობიექტებს წარმოადგენს სტრატეგიული სასოფლო –სამეურნეო (სიმინდი, კარტოფილი, ციტრუსები, ხეხილოვნები) და სხვა მნიშვნელოვანი კულტურების (კივი, თხილი, მოცვი, სტეფია) სოკოვანი, ბაქტერიული, ვირუსული დაავადებები და მავნებლები, მათ შორის საკარანტინო, რომელთა შესწავლა მეტად აქტუალური და აუცილებელია. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვაწარმოებთ კვლევებს შემდეგი ამოცანების მიხედვით:

- საკვლევი კულტურებზე საკარანტინო და ახალი მავნებელ - დაავადებების გამოვლენა;
- საკვლევი მცენარეების მთავარი და მეორეხარისხოვანი დაავადებების გამოვლენა;
- მცენარეთა მავნებელ - დაავადებების გავრცელების არელების დადგენა;
- მცენარეთა დაავადების განვითარების ხარისხის დადგენა;

- მავნებელ - დაავადებების იდენტიფიკაცია როგორც კლასიკური, ისე მოლეკულური ბიოლოგიის მეთოდებით საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით;
- მცენარეთა დაავადებების გამომწვევი პათოგენების სახეობრივი და შიდასახეობრივი შემადგენლობის დადგენა პათოგენურ კომპლექსებში;
- ძირითადი პათოგენების ბიოლოგიის, ეკოლოგიის და ეპიდემიოლოგიის შესწავლა მათი კონტროლის ღონისძიებების შემუშავებისთვის;
- ბიოპრეპარატების გამოცდა საველე და ლაბორატორიულ პირობებში;
- პროფილაქტიკური და დამცავი ღონისძიებების რეკომენდაციების შემუშავება კულტურების მიხედვით.

მცენარეთა დაავადებების მონიტორინგის დროს შეგროვილი ნიმუშებიდან გამოყოფილი და იდენტიფიცირებული დაავადებების გამომწვევი პათოგენები, როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, ასევე ჩვენთან, ინახება ინსტიტუტში არსებულ ფიტოპათოგენთა კოლექციაში, რომლის არსებობა სტრატეგიულად მნიშვნელოვანია და გამოიყენება:

- სელექციურ საქმიანობაში (ხელოვნური ინფექციური ფონის შესაქმნელად);
- მცენარეთა დაცვის საშუალებების სკრინინგისათვის;
- სხვადასხვა ეკოლოგიური პრობლემის გადასაჭრელად.

გარდა ამისა, მიკროორგანიზმთა კოლექცია წარმოადგენს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო - სასწავლო პროცესში გამოყენებითი კვლევითი პროგრამების ძირითად კომპონენტს.

წარმოგიდგენთ განყოფილების სამეცნიერო თემების განხორციელების 2020 წლის გეგმა-გრაფიკს:

#	თემა1: მცენარეთა ეკონომიურად მნიშვნელოვანი დაავადებების მონიტორინგი, დიაგნოსტიკა და დაავადებათა გამომწვევი პათოგენების შესწავლა თემის სამეცნიერო ხელმძღვანელი: <i>გალინა მეფარიშვილი</i> , ბიოლოგიის აკად. დოქტორი, მთავარი მეცნიერ - თანამშრომელი, განყოფილების უფროსი						შენიშვნა
	საანგარიშო პერიოდი						
	ქვეთემის ან ამოცანის დასახელება	ამოცანის შესაბამისი აქტივობის აღწერა	პირველი საანგარიშო ეტაპი	მეორე საანგარიშო ეტაპი	მოსალოდნელი შედეგები	შემსრულებლები	
1.1.		ამოცანა 1.			- დადგენილი	მეცნიერ-	

	<p>საკარანტინო და სხვა მნიშვნელოვანი ბაქტერიული დაავადებების შესწავლა</p>	<p>კარტოფილის ბაქტერიული დაავადებების შესწავლა;</p> <p>ამოცანა 2. ხეხილის ბაქტერიული დაავადებების შესწავლა;</p> <p>ამოცანა 3. საკარანტინო დაავადებების რუკის შედგენა;</p>	<p>+</p> <p>+</p>	<p>+</p> <p>+</p>	<p>იქნება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში კარტოფილის და ხეხილის ბაქტერიული დაავადებების გავრცელების არეალი და ინტენსიობა;</p> <p>-შეგროვდება დაავადებათა ნიმუშები;</p> <p>-დაავადებების გამომწვევი პათოგენების იდენტიფიკაცია;</p>	<p>თანამშრომელი: მ. მურადაშვილი;</p> <p>მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი: გ. მეფარიშვილი.</p>	
1.2.	<p>კარტოფილის და სხვა კულტურების სოკოვანი ძირითადი დაავადებების შესწავლა</p>	<p>ამოცანა 1. ბოსტნეული და ხეხილოვანი კულტურების ალტერნარიოზის გამომწვევის სახეობრივი შემადგენლობის შესწავლა;</p> <p>ამოცანა 2. Alternaria-ს გვარის იდენტიფიცირებული შტამების პათოგენურობისა და აგრესიულობის შესწავლა in vitro-ში.</p> <p>ამოცანა 3.</p>	<p>+</p> <p>+</p>	<p>+</p> <p>+</p>	<p>-დადგენილი იქნება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სოკოვანი დაავადების გავრცელების არეალი;</p> <p>-გავრცელების და განვითარების ინტენსიობა;</p> <p>-შეგროვდება დაავადებათა</p>	<p>მეცნიერ-თანამშრომელი რ. დუმბაძე</p> <p>მეცნიერ-</p>	

		<p>კარტოფილის ფიტოფტოროზის გავრცელებისა და განვითარების ინტენსივობის მონიტორინგი;</p> <p>ამოცანა 4. კარტოფილის საკოლექციო ჯიშების ეკოლოგიური გამოცდა ინვაზიურ ფონზე;</p>	+	+	<p>ნიმუშები; – მოხდება შეგროვილი ნიმუშების მიკროსკოპული ანალიზი; – პათოგენები გამოიყოფა სუფთა კულტურაში; -შეისწავლება ეკონომიურად მნიშვნელოვანი პათოგენების მორფოლოგიურ-კულტურალური თვისებები; -ჩატარდება კარტოფილის ჯიშების ეკოლოგიური გამოცდა ქობულეთის და წაღვერის კლიმატურ პირობებში;</p>	თანამშრომელი ნ. აფციაური	
1.3.	საქართველოში სიმინდის დარაიონებულ ჯიშებსა და ინტროდუცირებულ ჰიბრიდებზე გავრცელებულ	<p>ამოცანა 1 სიმინდის დაავადებების გავრცელებისა და განვითარების ინტენსივობის შესწავლა მარშრუტული გამოკვლევების გზით;</p>		+	<p>-ჩატარდება ექსპედიციები საქართველოს მესიმინდეობის რაიონებში; -დადგენილი იქნება</p>	უფრ. მეცნიერ-თანამშრომელი: ს. მეფარიშვილი	

	დაავადებათა მონიტორინგი	ამოცანა 2 სიმინდის ჰიბრიდების, სასელექციო მასალის ინფექციურ ფონზე (<i>Setosphaeria turcica</i>) გამოცდა.			გამოკვლევულ რაიონებში სიმინდზე გავრცელებულ დაავადებათა სპექტრი; – დაავადებათა გამომწვევი პათოგენები გამოიყოფა სუფთა კულტურაში; – გამოვლინდება ქობულეთის კლიმატურ პირობებთან სიმინდის ადაპტირებული ჰიბრიდები;		
1.4.	ციტრუსების დაავადებების მონიტორინგი და ძირითადი დაავადებების გამომწვევი პათოგენების შესწავლა.	ამოცანა 1 ციტრუსოვანი კულტურების მარშრუტული გამოკვლევა; ამოცანა 2 დაავადებების გამომწვევი პათოგენების იდენტიფიკაცია; ამოცანა 3 ძირითადი გამომწვევი პათოგენების ბიოლოგიური თავისებურებების შესწავლა ამოცანა 4 ციტრუსოვანი კულტურების დაავადებების წინააღმდეგ			- დასავლეთ საქართველოში ჩატარდება ციტრუსოვან კულტურათა ნარგავებში დაავადებათა მონიტორინგი; – შეგროვდება დაავადებების ნიმუშები; – დადგინდება დაავადებათა გავრცელების	უფრ. მეცნიერ-თანამშრომელი: მ. გაბაიძე მთავარი მეცნიერ-	

		ბიოლოგიური პრეპარატების გამოცდა in vitro და in situ პირობებში			არეალი; - დადგინდება დაავადებების განვითარების ხარისხი; - გამომწვევი პათოგენები გამოიყოფა სუფთა კულტურაში;	თანამშრომელი: გ. მეფარიშვილი;	
1.5.	კივის და თხილის დაავადებების მონიტორინგი და ძირითადი გამომწვევი პათოგენების შესწავლა.	ამოცანა 1. კივის მიკობიოტის შესწავლა; ამოცანა 2. თხილის და კივის ძირითადი დაავადებების შესწავლა; ამოცანა 3. თხილის და კივის დაავადებების წინააღმდეგ ბიოლოგიური პრეპარატების გამოცდა in vitro და in situ პირობებში			-დადგინდება კივის და თხილის დაავადებების გავრცელებისა და განვითარების ხარისხი; -შეგროვდება დაავადებათა ნიმუშები; - მოხდება დაავადებების გამომწვევ პათოგენების იდენტიფიკაცია; განისაზღვრება მათი სახეობრივი შემადგენლობა; მოხდება ბიოლოგიური პრეპარატების in vitro და in situ პირობებში გამოცდა	მთავარ. მეცნიერ-თანამშრომელი: ლ. გორგილაძე უფრ. მეცნიერ-თანამშრომელი: ს. მეფარიშვილი	

1.6.	სხვადასხვა პერსპექტიული კულტურების დაავადებების მონიტორინგი და ძირითადი გამომწვევი პათოგენების შესწავლა.	<p>ამოცანა 1. მოცვის ძირითადი დაავადებების გამომწვევი პათოგენების შესწავლა;</p> <p>ამოცანა 2. სტევიას პათოგენური მიკობიოტის შესწავლა;</p> <p>ამოცანა 3. მოცვის და სტევიას დაავადებების წინააღმდეგ ბიოლოგიური პრეპარატების გამოცდა in vitro პირობებში</p>			<p>-ჩატარდება მარშრუტული გამოკვლევები დასავლეთ საქართველოს რაიონებში;</p> <p>-დადგინდება გამოვლენილი დაავადებების გავრცელებისა და განვითარების ინტენსიობა;</p> <p>- მოხდება დაავადებულ მცენარეთა ნიმუშების შეგროვება- ტრანსპორტირება;</p> <p>-მოხდება დაავადებათა გამომწვევების იდენტიფიკაცია;</p>	<p>მეცნიერ-თანამშრომელი: ლ. ქოიავა;</p> <p>მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი: გ. მეფარიშვილი;</p> <p>მეცნიერ-თანამშრომელი: ნ. ჯაბნიძე</p>	
<p>თემა 2: : ფიტოპათოგენთა არსებული კოლექციის გაახლება და ახალი შტამების მიღება-შენახვა თემის სამეცნიერო ხელმძღვანელი: <i>ლამზირი გორგილაძე</i>, აგრარულ მეცნიერებათა აკად. დოქტორი, მთავარი მეცნიერ - თანამშრომელი</p>							
	ქვეთემის ან ამოცანის დასახელება	ამოცანის შესაბამისი აქტივობის აღწერა	პირველი საანგარიშო ეტაპი	პირველი საანგარიშო ეტაპი	მოსალოდნელი შედეგები	შემსრულებლები	
2.1	ბაქტერიული დაავადებების კულტურათა	- საკოლექციო კულტურების სიცოცხლისუნარიანობის შემოწმება	+	+	მოხდება არსებული კოლექციის	მ. მურადაშვილი გ. მეფარიშვილი	

	კოლექცია	- კულტურების გადამრავლება და პათოგენობის ამღლება - საკოლექციო შტამების სტაბილიზაცია - საკოლექციო შტამების შენახვა - საკოლექციო შტამების პასპორტიზაცია			განახლება და ახალი შტამების შენახვა		
2. 2	კარტოფილის და სხვა ბოსტნეული კულტურების სოკოვანი პათოგენების კულტურათა კოლექცია	- საკოლექციო კულტურების სიცოცხლისუნარიანობის შემოწმება - კულტურების გადამრავლება და პათოგენობის ამღლება - საკოლექციო შტამების სტაბილიზაცია - საკოლექციო შტამების შენახვა - საკოლექციო შტამების პასპორტიზაცია	+	+	კოლექცია შეივსება საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული სოკოვანი დაავადებების გამომწვევი მიკროორგანიზმებ ი ახალი, ეკონომიკურად მნიშვნელოვანი შტამებით; მოხდება არსებული კოლექციის განახლება და ახალი შტამების შენახვა	რ. დუმბაძე ნ. აფციაური	
2. 3	სიმინდის პათოგენების კულტურათა კოლექცია	- საკოლექციო კულტურების სიცოცხლისუნარიანობის შემოწმება - კულტურების	+	+	მოხდება არსებული კოლექციის განახლება და	ს. მეფარიშვილი	

		გადამრავლება და პათოგენობის ამაღლება - საკოლექციო შტამების სტაბილიზაცია - საკოლექციო შტამების შენახვა - საკოლექციო შტამების პასპორტიზაცია			ახალი შტამების შენახვა		
2. 4	კივის პათოგენების კულტურათა კოლექცია	- საკოლექციო კულტურების სიცოცხლისუნარიანობის შემოწმება - კულტურების გადამრავლება და პათოგენობის ამაღლება - საკოლექციო შტამების სტაბილიზაცია - საკოლექციო შტამების შენახვა - საკოლექციო შტამების პასპორტიზაცია	+	+	მოხდება არსებული კოლექციის განახლება და ახალი შტამების შენახვა	გ. მეფარიშვილი ლ. გორგილაძე	
2. 5	თხილის პათოგენების კულტურათა კოლექცია	- საკოლექციო კულტურების სიცოცხლისუნარიანობის შემოწმება - კულტურების გადამრავლება და პათოგენობის ამაღლება - საკოლექციო შტამების სტაბილიზაცია - საკოლექციო შტამების	+	+	მოხდება არსებული კოლექციის განახლება და ახალი შტამების შენახვა	გ. მეფარიშვილი ლ. გორგილაძე	

		შენახვა - საკოლექციო შტამების პასპორტიზაცია					
2. 6	ციტრუსების პათოგენების კულტურათა კოლექცია	- საკოლექციო კულტურების სიცოცხლისუნარიანობის შემოწმება - კულტურების გადამრავლება და პათოგენობის ამღლება - საკოლექციო შტამების სტაბილიზაცია - საკოლექციო შტამების შენახვა - საკოლექციო შტამების პასპორტიზაცია	+	+	მოხდება არსებული კოლექციის განახლება და ახალი შტამების შენახვა	მ. გაბაიძე	
2. 7	მოცვის პათოგენების კულტურათა კოლექცია	- საკოლექციო კულტურების სიცოცხლისუნარიანობის შემოწმება - კულტურების გადამრავლება და პათოგენობის ამღლება - საკოლექციო შტამების სტაბილიზაცია - საკოლექციო შტამების შენახვა - საკოლექციო შტამების პასპორტიზაცია	+	+	მოხდება არსებული კოლექციის განახლება და ახალი შტამების შენახვა	ლ. ქოიავა	
2. 8	სტევიის პათოგენების	- საკოლექციო კულტურების სიცოცხლისუნარიანობის	+	+	მოხდება არსებული	ნ. ჯაბნიძე	

კულტურათა კოლექცია	შემოწმება - კულტურების გადამრავლება და პათოგენობის ამღლება - საკოლექციო შტამების სტაბილიზაცია - საკოლექციო შტამების შენახვა - საკოლექციო შტამების პასპორტიზაცია			კოლექციის განახლება და ახალი შტამების შენახვა		

ექსპედიციების გრაფიკი

#	პატრონ-მცენარე	ექსპედიციის მარშრუტი	ექსპედიციის ჩატარების დრო	ექსპედიციის მიზანი
1	კარტოფილი	წალვერი	აპრილი-მაისი	საკოლექციო კარტოფილის ჯიშების დარგვა
2	სხვადასხვა კულტურები ციტრუსები კივი თხილი	დასავლეთ საქართველო	აპრილი მაისი	დაავადებების გავრცელების და განვითარების ინტენსიობის განსაზღვრა, დაავადების ნიმუშების შეგროვება
3	კარტოფილი სიმინდი	ახალქალაქი, ახალციხე, ხულო	ივლისი	
	სხვადასხვა კულტურები	დასავლეთ საქართველო	ივლისი	

4	კარტოფილი	ახალქალაქი, ახალციხე, ხულო	აგვისტო თებერვალი	
	სხვადასხვა კულტურები	დასავლეთ საქართველო	სექტემბერი ნოემბერი	
5	კარტოფილი	წაღვერში	აგვისტო - სექტემბერი	საკოლექციო კარტოფილის მოსავლის აღება.

**II მცენარეთა დაავადებების მონიტორინგის, დიაგნოსტიკისა და
მოლეკულური ბიოლოგიის განყოფილების
2020 წლის სახელმწიფო შესყიდვები**

საქონელი და მომსახურება		12 200,00
რეაქტივები და მასალები		8000
ექსპედიციის საწვავი		1700
მივლინება ქვეყნის შიგნით		1500
მივლინება ქვეყნის გარეთ		1000
ძირითადი აქტივები		21 500,00
მიკროსკოპი ციფრული კამერით + ლეპტოპი	2	7000
პჯრ კაბინეტი	1	5500
UV სპექტროფოტომეტრი	1	4000
UV ტრანსილუმინატორი	1	4000
ბაქტერიციდული რეცირკულატორი	1	1000
წალვერის საყრდენი პუნქტი		
საქონელი და მომსახურება		710
სამეურნეო საქონელი		500
მივლინება ქვეყნის შიგნით		210
სულ: 34 410, 00 ლარი		

III ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და კონსერვაციის განყოფილება

განყოფილებაში მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი თემები ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და კონსერვაციის განყოფილების სამეცნიერო პროექტის - „მცენარეთა ბიომრავალფეროვნების ცალკეული კომპონენტის შესწავლა, დაცვა-შენარჩუნება, გონივრული გამოყენება“, შემადგენელი ნაწილი.

სამეცნიერო პროექტის ხელმძღვანელი - განყოფილების უფროსი, ბიოლოგიის დოქტორი, ავთანდილ მესხიძე

პროექტის აქტუალობა:

ბიომრავალფეროვნების შესწავლა, დაცვა-შენარჩუნება და გონივრული გამოყენება თანამედროვე მსოფლიოს უმთავრესი პრობლემა და წარმოადგენს ბიოლოგიური უსაფრთხოების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს.

საქართველო ბიომრავალფეროვნებით გამორჩეული ქვეყანა და ამავე დროს, მრავალი მცენარის წარმოშობის ერთ-ერთი ცენტრია, რომლის შესწავლას, დაცვასა და აღდგენას საკაცობრიო მნიშვნელობა აქვს. გამომდინარე აქედან, საქართველოს უნიკალური ფიტოგენოფონდი ქვეყნის ბუნებრივ-კულტურული მემკვიდრეობის ცოცხალი ძეგლია, რომლის ერთ-ერთ მთავარ ფლორისტულ რაიონს, აჭარა წარმოადგენს თავისი მდიდარი ველური (მათ შორის ენდემური და რელიქტური), ინტროდუცირებული (ეგზოტიკური), ადვენტური (ინვაზიური) და კულტურული ფლორის სახეობათა მრავალფეროვნებით. ამიტომ, ჩვენი რეგიონის მცენარეთა მრავალფეროვნების მონიტორინგს, ველურ და კულტურულ ფლორაში ახალი სასარგებლო მცენარეების გამოვლენას, ენდემიზმის შენარჩუნებას, აგრობიომრავალფეროვნების გენეტიკური რესურსების შესწავლასა და კონსერვაციას, ველური და კულტურული ლანდშაფტების დაცვას მავნე ინვაზიური სახეობებისგან, სამრეწველო დანიშნულებით მცენარეების რაციონალურ გამოყენებას და გამრავლებას უაღრესად დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ.

აჭარა მდიდარია ადგილობრივი და სუბტროპიკული ინტროდუცირებული ხეხილოვანი კულტურებით, რომელთა გენოფონდის შესწავლა აჭარის მთიანეთსა და ზღვისპირეთში, ხელს შეუწყობს ჯიშების მოძიებას, გენეტიკური გენოფონდის შევსებას, ჯიშობრივი სიწმინდის დაცვასა და კონსერვაციას; სამეურნეო თვალსაზრისით პერსპექტიული ჯიშების გამოვლენა და მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები მნიშვნელოვანია რეგიონის სოფლის მეურნეობისთვის, სოფლად ფერმერული მეურნეობების მომავალი განვითარებისთვის, სპეციალისტების აღზრდისათვის.

მეციტრუსეობას, შექმნილი მრავალი პრობლემის მიუხედავად, დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა და კვლავ რჩება საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ წამყვან დარგად. დღეი-სათვის, როდესაც შეიცვალა ბაზრის მოთხოვნები და უპირატესობა მიენიჭა ხარისხიან და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას, საქართველოში არსებული თითქმის საუკუნის წინ გაშენებული ხანდაზმული, გამეჩხერებული და ამორტიზებული პლანტაციები ვეღარ უზრუნველყოფენ მაღალხარისხიანი სტანდარტული ნაყოფის მიღების შესაძლებლობას. თუმცა, ეჭვს არ იწვევს ის გარემოებაც, რომ მეციტრუსეობის, როგორც ერთ დროს ძალზე მომგებიანი დარგის აღორძინება, კვლავ შესაძლებელია. პრობლემის მოგვარება შესაძლებელია არა მარტო ახალი ჯიშების ინტროდუქციით, არამედ იმ გენოფონდის სწორად შერჩევითა და გამოყენებით, რომელიც საუკუნის განმავლობაში დაგროვდა ჩვენს ქვეყანაში. ამ მიმართულებით კვლევა ხელს შეუწყობს ნარინჯოვანთა გენეტიკური რესურსების

მოძიებას, კონსერვაციას, ჯიშობრივი სიწმინდის დაცვას, მეციტრუსეობის შემდგომი განვითარებისათვის ჯიშების სწორად შერჩევასა და რეკომენდაციების მომზადებას.

აჭარის ადგილობრივ, მათ შორის ენდემურ და ინტროდუცირებულ ფლორაში, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველი მცენარეების გამოვლენა, ფარმაკოგნოსტური კვლევა, დაცვა-შენარჩუნება და გამრავლება, ასევე მნიშვნელოვანია, ვინაიდან რეალურად სამომავლოდ ეს იქნება ბუნებრივი მასალა მედიცინისთვის, სოფლის მეურნეობისთვის, დეკორატიული მებაღეობისთვის გარემოს გაჯანსაღების მიზნით და სხვა მრავალმხრივი დანიშნულებით.

აჭარაში, გამომდინარე მისი ხელსაყრელი ნიადაგურ-კლიმატური პირობებიდან და ეკონომიკური თვალსაზრისით სატრანზიტო რეგიონში, ბიომრავალფეროვნებისთვის ერთ-ერთ დიდ საფრთხეს ადვენტური-ინვაზიური სახეობები წარმოადგენს (სამეურნეო და ეგზოტიკური ინტროდუცენტები, გავლურებული და გზად მოყოლილი სახეობები). განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევს აღნიშნული კუთხით კვლევა მას შემდეგ, რაც გაიხსნა საზღვარი მეზობელ თურქეთის სახელმწიფოსთან და საქართველო გახდა ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი დერეფანი. მცენარის ბევრი გადაულახავი ბუნებრივი ე. წ. გეოგრაფიული დაბრკოლებანი, ადვილი დასაძლევია გახდა. ამიტომ, ადვენტური-ინვაზიური ფლორის შესწავლას, საფრთხეების დადგენას და პროგნოზირებას აჭარის ადგილობრივ და კულტურულ ფლორასთან, განსაკუთრებით, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებთან მიმართებაში, პრაქტიკულ მნიშვნელობასთან ერთად, ზოგადბიოლოგიური ინტერესიც გააჩნია.

მიზანი: შესწავლილი იქნება აჭარაში ხეხილოვნების არსებული გენოფონდის მდგომარეობა; გამოვლინდება სამეურნეო და კომერციული თვალსაზრისით პერსპექტიული, იშვიათი, გაქრობის პირას მყოფი საუკეთესო ჯიშები; შეიქმნება მონაცემთა ბაზა; შემდგომი გამოყენებისა და კონსერვაციის მიზნით მოეწყობა საკოლექციო ნაკვეთი; ელიტური სარგავი მასალის მიღების მიზნით შემუშავებული იქნება გამრავლების ახალი ტექნოლოგიები; რეგიონის შესაბამის სტრუქტურებთან ერთად შემუშავებული იქნება არგუმენტირებული, მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები აჭარაში ტრადიციული დარგის, მეხილეობის განვითარებისთვის, ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდისთვის.

განხორციელდება ქვეყანაში არსებული ნარინჯოვანთა გენოფონდის მოძიება, კვლევა, იდენტიფიცირება და გენეტიკური რესურსების დაცვისა და შემდგომში გამოყენების მიზნით მათი კონსერვაცია; იშვიათი და გაქრობას დაქვემდებარებული სახეობების, ჯიშების, ჰიბრიდების, მუტანტების ბიოლოგიური თავისებურებების შესწავლა, სამეურნეო და სელექციური თვალსაზრისით პერსპექტიული ჯიშების ჰიბრიდების, მუტანტების გამოვლენა და კონსერვაცია; მანდარინის ექსპორტზე ორიენტირებული ჯიშებისა და კლონების შერჩევა, გამრავლება და წარმოებაში დანერგვის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება; კონკურენტუნარიანი სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი დარგის - მეციტრუსეობის რეაბილიტაციისათვის ხელშეწყობა, მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების შემუშავება/ შეთავაზება, მეცნიერებსა და ფერმერებს შორის ინტეგრაციის ხელშეწყობა; ნარინჯოვანთა გენეტიკური მრავალფეროვნების შესახებ სამეცნიერო ინფორმაციის სრულყოფა; სამრეწველო სორტიმენტის სრულყოფისა და სანედლეულო ბაზის გაფართოების მიზნით ახალი პერსპექტიული ჯიშების ინტროდუქცია; ციტრუსოვანთა ელიტური სარგავი მასალის გამოყვანის ხელშეწყობის მიზნით მუდმივ კონტროლს და განახლებას დაქვემდებარებული სადედე ბაღის შექმნა.

